

# საქართველოს

# სახელმწიფო მკვარა



წასი 10 მან. პარასკევი, ნოემბრის 19 1920 წ.

შთავრობის მოაზრება, უფედელიური გაზეთი  
(საფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)  
**საქართველოს სახელმწიფო მკვარა**

განთი-ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან.  
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრუქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან.  
სა მგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ.  
სა ბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ-  
ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რელა-  
ქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-83.

## სახელმწიფო მკვარა.

პარასკევი, 19 ნოემბრის და ორშაბათს, 22 ნოემბრის პირველად ტფ. ღირსი ქართულ ენაზედ ოპერა

### ლ ა ლ ა ტ ი

შესიკა იპოლიტოვი-ივანოვისა, ნათარგმანი კ. ფოცხვერაშვილის მიერ. ზეინაზი—ალექსო, რუქია—ბურაგო-ცხანოვსკისა, ისახარი—ერმოლინსკაია, ირაკლი—სარაჯიშვილი, ოთარ ბეგ—ელიოზიშვილი, სულემანი—საბინინი და სხვა.

ახალი კოსტუმები და დეკორაციები.

ოპერას დასდგამს ა. რ. წუწუნავა.

დასაწყისი 8 საათზე საღამოს.

ღირიყორი ნ. ა. სტოლერმანი.

972 1-1

## სახელმწიფო ღრამის თეატრი

(ყოფილი არტისტული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

შაბათს, ნოემბრის 20-ს და სამშაბათს, ნოემბრის 23-ს

### უ ბ ვ ი რ ბ ვ ი ნ ე მ ე ზ ე ნ ი

აღ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და განიხამოსი მხატვარის ვალ. სიღამონ-ერისთავისა.  
ბილეთები კასაში.

კვირას, ნოემბრის 21-ს **მსხვერპლი**—ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ. სიღამონ-ერისთავისა.

ბილეთები გაყიდულია. რეჟისორი აღ. წუწუნავა.  
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 971 1-1

## მოგარაგების საინსტროქციული აქტი

### ასხადებს,

რომ ქუთაისის გუბერნიის, სოხუმისა და ბათუმის ოლქებში სიმინდის და სხვა ხორბლეულობის ყიდვა-გაყიდვა და გადატან-გადმოტანა სრულიად თავისუფალია. თავისუფალია აგრეთვე აღნიშნულ ადგილებიდან სიმინდისა და სხვა ხორბლეულობის გატანა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და სოფლებში.

ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

მომარაგების მინისტრის ამხანაგი ჭავჭავაძე.  
994 3-2

## თელავის ქალაქის თვითმმართველობა

### ასხადებს კანონდროს სასურდლოდ.

რომ ამა წლის ოქტომბრის 5-ს სხდომზე.

თელავის ქალაქის საბჭომ დაადგინა იძულებით ჩამორთმეულ იქნას თელავის ქალაქის საკუთრებად გარდაცვალებულ ტერ-სარქის ბაღდაძის ძე ტერ-სარქისოვის შემდეგ დარჩენილი მამული, მდებარე ქალ. თელავში 26 მისის (ყოფილ ბაღის) ქუჩაზედ საზღვრებ შუა: აღმოსავლეთით—ზაფხულის, ლომიძეების, გოგიაშვილის, სომხის გიმნაზიის, ტერ-სარქისოვის მემკვიდრეების და ხეჩუყვეს სახლები, დასავლეთით—იაკობ ტერ-სარქისოვის მემკვიდრეების და გარსევან კურდღელაშვილის მამულები, ჩრ-დილოეთით—ქუჩა და სამხრეთით—თაქუი მარქაროვის მემკვიდრეების ეზო, სივრცით 1050 კვადრ. საფ. პატრონების მისაცემი ფასი განსაზღვრულია 200.000 მანეთი. 998 1 1

### ოფიციალური განცხადება.

### დეკრეტი

რესპუბლიკის დაცვის საჭიროებისათვის შთავრობის განკარგულებისათვის 2.000,000,000 მანეთის ვაცემისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შთავრობის განკარგულებისათვის ორი მილიარდი (2.000,000,000) მანეთი.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ნოემბრის 12-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი აბ. აღ. დომთათიძე.  
რესპუბლიკის შთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

### დეკრეტი

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მუშა-მოსამსახურეებზე 1920 წლის აგვისტოს 16-ს დეკრეტის მოქმედების გავრცელებისა.

1. დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის აგვისტოს 16-ს დეკრეტის მოქმედება—რესპუბლიკის ყოველი დაწესებულების და წარმოების მუშა-მოსამსახურეთათვის 1920 წლის აგვისტოს 1-დან ჯამაგირის მომატებისა გავრცელებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის მუშა-მოსამსახურეებზედაც.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ნოემბრის 12-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი აღ. დომთათიძე.  
რესპუბლიკის შთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

## სუსუმის ქალაქის გაგებობა

### აქით ასხადებს.

რომ ივანე ფირანის ძე ეზაკელი გაგებობის წარმომადგენლათ ქალაქისათვის სხვა და სხვა საქონლის შესყიდვაში აღარ ითვლება და მოწმობა გაცემული მის სახელზე ქალაქის გაგებობის მიერ № 5879 გაუქმებულია.

სუსუმის ქალაქის გაგებობა.

999 3-1

### განკარგული ბანი

სახელმწიფო კონტროლირის ამხანაგისა.

16 ნოემბერი, 1920 წ., № 463.

ინაშენებან: სახელმწიფო კონტროლის ქუთაისის განყოფილებაში; რევიზორი სვიმონ ზარაბის ძე ლევადა უფროს რევიზორათ, რევიზორის თანაშემწე სოლომონ რომანოვის ძე ჩიხლაძე რევიზორათ და მოანგარსზე მოხელე ივანე ყარაბაის ძე ყიფიანი რევიზორის თანაშემწეთ ყველა ა. წ. 15 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლირის ამხანაგი კ. ანდრონიკაშვილი.

საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსისა.

№ 301.

დაინიშნოს: სენაკის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ კონსტანტინე დიმიტრის ძე ბუსკაძე ა. წ. სექტემბრის 16-დან.

№ 302.

დათხოვნილი იქნას: თანამდებობიდან და სრულიდ სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის ბუქხალტრის თანაშემწე ივანე ისაის ძე აბროშვილი, ა. წ. სექტემბრის 16-დან.

№ 303.

დაინიშნოს: ბათუმის ხაზინის მოანგარიშზე მოხელე იოსებ ვოდოლოვსკი იმავე ხაზინაში მერსე ხარისხის მოლარეთ ა. წ. სექტემბრის 17-დან.

№ 304.

დაინიშნოს: ბათუმის ხაზინის რეგისტრატორი იოსებ ესრამის ძე კულუა იმავე ხაზინაში მოანგარიშზე მოხელეს თანამდებობაზედ ა. წ. სექტემბრის 17-დან.

№ 306.

მიღებულ იქნას: ტფილისის ხაზინაში როგორც დროებით დაქირავებული, რეგისტრატორის თანამდებობაზედ ნინო ლეონტის ასული ზაზიერაშვილი ა. წ. 22 სექტემბრიდან.

№ 307.

მიღებულ იქნას: ტფილისის ხაზინაში როგორც დროებით დაქირავებული, რეგისტრატორის თანამდებობაზედ ბენიამინ ლეონტის ძე ნეგეტოვი ა. წ. სექტემბრის 1-დან.

№ 310.

დაინიშნოს ბათუმის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ვერა ლაზარეს ასული ფხაკაძე ამა წლის სექტემბრის 15-დან.

№ 313.

დათხოვნილი იქნას: თანამდებობიდან და სრულიდ სამსახურიდან, თანახმად თავისი

თხოვნისა საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მდივანი ილია გიორგის ძე სავიცი ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსის მაგიერ დ. ქუთათელიძე.

აღმოსავლეთის მომრიგებელ მოსამართლისა.

30 ოქტომბერი, 1920 წ., № 15.

თანახმად თხოვნისა დაბა აღმოსავლეთის მოქალაქისა ბარბარე ალექსანდრეს ასული ანდრონიკაშვილისა დანიშნულია აღმოსავლეთის ტბის სამომრიგებლო სასამართლოს გადამწყობათ ამა ოქტომბრის თხუთმეტადან.

აღმოსავლეთის ტბის მომრიგებელი მოსამართლე ბარბარეშვილი.

ფოცხოვის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.

დაინიშნოს: მოქალაქე მიხეილ ნესტორის ძე გაყრელიძე ფოცხოვის უბნის სამომრიგებლო სასამართლოში მდივანთ პირველ ნომბრიდან ამა წლისა.

მომრიგებელი მოსამართლე კ. აბრამიშვილი.

ჭიათურის უბ. მომრიგებელ მოსამართლისა.

დაინიშნულია: მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი დიანოზ ს. აბრამიშვილი მდივანთ—ჩემდამი რწმუნებულ სასამართლოში 28 აპრილიდან 1920 წ.

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე

### არა ოფიციალური განცხადება.

### შთავრობაში.

თავდაცვის საბჭოს დაარსება.

შთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ მოხსენების თანახმად შთავრობამ დაადგინა: დაარსოს თავდაცვის საბჭო იმავე საფუძველზე, რა საფუძველზედაც იყო დაარსებული იგი თანახმად აპრილის 27 ბრძანებისა.

გერმანელების გადმოსახლება საქართველოში.

საქართველოში გერმანელების გადმოსახლების საკითხის განხილვის შემდეგ შთავრობამ დაადგინა: მიანდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს მიმართოს ბერლინში მყოფს საქართველოს წარმომადგენელს თხოვნით რათა მან გამოეზარებინა დაწვრილებითი ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებსაც საქართველოში გადმოსახლება სურთ.



თანახმად გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: მისცეს გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს უფლება რკინის გზების მთავარ სახელმწიფოებში სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებისა.

### ქართველ დედებს!

ქართველი დედებო, თქვენ მოგმართავთ: ჩვენს სამშობლოს კვლავ განსაცდელი მოელოს; მას კიდევ ემუქრება შეურალებელი მტერი. როცა სამშობლო ასეთ მდგომარეობაშია შენ არ შეგფერის გულხელდაკრეფილი, გულგრილად უყურო მას, რაც ხდება შენს გარშემო.

„ძეძუ ქართველისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“. ქართველი დედის ძეძუ მაშინაც კი იფერფლებოდა სამშობლოს სამსხვერპლოზე, როცა საქართველო ეროვნულად თავისუფალი, მაგრამ ფეოდალური, ნახევრად მონურის იყო, ქართველ დედაში იმდენად იყო მაშინაც განვითარებული სამშობლოსადმი აღმაფერენა, მისთვის თავდადება, რომ დედა თავის ერთადერთ შვილსაც კი გულიდან იშორებდა და მას ხალისით ისტუმრებდა ბრძოლის ველზე. ნუ თუ დღეს, როცა საბოლოოდ დავამტკიცებთ მონობის ბორკილები, როცა აღსრულდა ქართველი დედის გულში საუკუნოების განმავლობაში მოზღვაებული სურვილები, როცა ქართველი ქალის ლეჩაქს წართმეული ნამუსი დაუბრუნდა, დღეს, როცა ქართველმა ქალმა უფლებრივად წინ წაასწრო ევროპის ქალებსაც კი, დღეს ჩვენს უზენაეს საკანონმდებლო ორგანო დამფუძნებელ კრებაშიაც კი მამაკაცებთან ერთად ქალებიც ეწვიან/მძიმე სახელმწიფოებრივ მუშაობას დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად, ნუ თუ დღეს უნდა მიაყენოთ ჩრდილი ქართველი ქალის ტრადიციას, მის ისტორიულ წარსულს?! არასოდეს, სამშობლოსადმი მოღალატეობას ქართველი დედა არ ჩადენს.

მობილიზაცია გამოცხადდა, იქნებ შენ დედა მოგშორდეს ერთადერთი მარჩენალი, მამულებელი შვილიც კი, მაგრამ გულს დარდი არ მიიკარო, თავს კრძალ, გრწამდეს, რომ შენ პირად ინტერესებზე უფრო ძვირფასია თავისუფალი სამშობლო.

ქართველი დედა, იქნებ შენ ერთი შვილი კიდევ მოგიკლეს გამირულად წარსულ ომებში სამშობლოს დასაცავად, იქნებ შენ ჯერ იმისთვის კიდევ გაცვია შავი სუღარა, იქნებ ის ჯერაც არ გამოგიგლოვებია, მაგრამ მაინც ნუ დაფიქრდები, უნაღვლოდ დაუთმე შენი მეთერ შვილიც თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოს კეთილდღეობას. გახსოვდეს, რომ ასეთია შენი საღვთო ვალი დემოკრატიულ სამშობლოს წინაშე.

ზოლი, სიბრძნეო დეხერტირის დედას, დეხერტირი შვილი, დედაც ახლოს არ მიიკარო, ზურგი უჩვენე მას, ის, შენი შვილია-მაგრამ მაინც სამშობლოს მოღალატეა სამშობლო კი შვილზე უფრო უძვირფასესია.

მაგრამ ეს არ კარგა ქართველი ქალისათვის დღეს; მან პირადად უნდა მიიღოს მონაწილეობა ომში: უპატრონო გაორკეცებული ენერგიით და საქმიანობით მოუაროს უმამაკაცოდ დატოვებულ ოჯახს, მის დოვლათს; საქიროა აგრეთვე ზურგის გასამაგრებლად მეტი აქტიუობა გამოიჩინოთ; აქ თქვენ მამაკაცებზე მეტა შეგიძლიათ; თქვენი ნაზი, სათუთი გრძობა უფრო შესძლებს მეტა მზრუნველობა, ნუგეში გამოიჩინოს ფრონტისადმი. საქიროა ეხლავე შეუდგეთ თბილისი ტანინ-სამოსისა, წინდებისა და ხელთათმინების დამზადებას, თუ დაგვიფარა ღმერთმა, თუ ჩვენი მთავრობის ცდამ ტყუილა არ ჩაიარა და ავცდა ომი თავიდან ნომ კიდევ უკეთესი, დამზადებული საგნები არ წავიხდებოდა და თუ საფრთხე მაინც აუცილებელა მხად უნდა შეზღვევ.

აბა, დედებო, დებო, ეხლავე შეუდგით საქმეს, სიზნაც საქმეს აგნებს, ეხლავე უნდა დაარსდეს სოფლად, ქალაქად კომიტეტები, რომლის მუშაობა იქნება ფრონტისთვის ზოუნვა, მტრის დასამარცხებლად, ჩვენი შვილების ბრწყინვალე გასამარჯვებლად. ისმინეთ, ჩემი ხმა!

მებრძოლი.

### საბჭოთა რუსეთში

(საინფორმაციო განყოფილება).

#### სტუდენტობა.

„იხვესტიში“ დაბეჭდილია წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიაც ავტორი მოს-

კოვის სტუდენტების აღმასწავლებელ სულიერ განწყობილებას აღნიშნავს. სტუდენტთა დაუწყვეტელი ყოფ-ქცევა დამამტკიცებელია იმ საშინელ გაბრაზებისა, რომელსაც სტუდენტობა საბჭოთა ძალა-უფლების მიმართ გრძობს.

#### შეშის კრიზისი.

— მოსკოვის გუბერნიის საბჭოთა თავმჯდომარეების კრებაზე გააკეთეს მოხსენება მოსკოვში შეშის შემოტანის სრულიად შეწყვეტის შესახებ.

#### სადარჯჯო რაზმები.

— მოსკოვის გარნიზონის უფროსმა გამოცხადებულა. თანახმად ბრძანებისა: 1) მოსკოვში უნდა გაძლიერდეს სადარჯჯო რაზმები; 2) რაზმებს ევალებათ მოსკოვის ქუჩების კონტროლის გაწევა. ამასთანავე მათ ევალებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ეტლებით და ავტომობილებით მოსიარულე ხალხს. მათ არა თუ მარტო პასპორტები არაზედ მანქანის დოკუმენტებიც უნდა გასინჯონ; 3) ღამით ყაზარმებიდან ჯარისკაცების გაშვება რაც შეიძლება უნდა შეწყვიტოს; 4) მოქალაქეებს ღამის 12 საათ შემდეგ ეკრძალებათ ქუჩებში გამოსვლა; 5) სამხედრო დაწესებულებათა პასუხისმგებელ პირებს ევალებათ დაიჭირონ კავშირი თავდაცვის კომიტეტთან და რესპუბლიკის შინაურ სამსახურის სარდალთან და სხ.

#### ხმების უარყოფა.

„იხვესტიში“ დაბეჭდილია მთავრობის ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია შემდეგი: „უცხოეთის პრესა ავრცელებს ხმებს, თითქოს საბჭოთა ჯარში მასაური დეზერტირობა იყოს გავრცელებული, თითქოს რუსეთში ხდებოდეს აჯანყებები, ტერორისტული აქტები, ხდილების და გზების აფეთქება და სხვა აღნიშნული ხმები ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულნი არიან.“

## დეკემბერი

(საქართველოს დემუხათა სააგენტო).

#### ლიონის ცნობები

#### ყირიმის ვეაკ უაია.

„პტი-პარაზინი“ იუწყება: გენერალი ვრანგელი კონსტანტინოპოლში მივიდაო. კონსტანტინოპოლში მასულა აგრეთვე სევასტოპოლიდან გამოქცეული 4000 ლტოლვილი.

#### ლვოვისა და მაკლაკოვის მოწოდება.

პარიზიდან იუწყებიან: ლვოვა და მაკლაკოვა რუსის ხალხს მოწოდებით მიმართა, რომ ისინი არ დაეცენ სკოლით. თუმცა ვრანგელი დამარცხდა, მაგრამ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც გრძელდებაო, სწერენ ისინი. გლებები უკვე იხალღებენ ხმას საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ ამ მოძრაობას უნდა დაუჭიროთ მხარი და რუსეთი მონობისაგან უნდა გავანთავისუფლოთ.

#### საბერძნეთში.

მოსული ცნობებით რაღისმა მიიღო თავის თავზე ახალი კამბინეტის შედგენა. ვენიზე-ლოსი საბერძნეთის ტრავებს. ლიუტერინიდან იუწყებიან, იმ ოტლეში, რომელშიაც ექსიმეფე კონსტანტინე, ექს-კოროლევა სოფიო, პრინცი პავლე და მათი სვიტა სცხოვრობს დიდი სიცოცხლეოა. ათინაში ვინიხლოსის მოწინააღმდეგეებმა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების მიმართ იარაღი იხმარეს. მოკლულია ორი ბავშვი. საქმეში სამხედრო ძალა ჩაერია.

#### ფარული ხელშეკრულება.

თანახმად ბოლშევიკური რადიოს ცნობისა პოლონეთსა და ლიტვას შორის საფრანგეთის მთავრობის მფარველობით ლიტვის გაყოფის შესახებ ფარული ხელშეკრულება დაიდო. ეს ცნობა უსაფუძვლოა. საფრანგეთის მთავრობას არავითარი ცნობა არა აქვს ისეთის ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ლიტვის გაყოფას შეეხება. საფრანგეთი ყოველთვის მომხრე იყო, რომ ეს საკითხი ერთა ლიგას გადაეწყვიტა და როგორც ვიცით, პოლონეთის მთავრობაც იმავე აზრის იყო.

#### სამხედრო სამახურის ვადა საფრანგეთში.

სამშაბათს მინისტრთა საბჭოში მთავრობის ყველა წევრებმა სამხედრო სამახურის ვადათ 18 თვე მიიღეს ერთხმად. დადგინდება ძალაში შევა 1922 წლის ოქტომბრიდან.

#### ერთა ლიგაში.

სამშაბათს სხდომაზე ილაპარაკეს ვივიანმა, ბურჟუაზ, ლორდ რობერტმა, სენილმა, ტიტონმა და ბრანტივამ. ბულვარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტამბულისკი მგზავრობიდან დაბ-

რუნდა. მან ინახულა საფრანგეთის სამრეწველო ცენტრები (?) და ქალაქები.

#### ინგლისი და ექს-მეფე კონსტანტინე.

„ექს-მეფე“ სწერს: ინგლისურ ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ დიდი ბრიტანეთი ისე როგორც საფრანგეთი არ მოითმენს ექს-მეფე კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებას. ექს-მეფე ისევე გერმანიისადმი თანაგრძობით არის გამსკვალული.

#### ღუნაის ინტერნაციონალური კრება.

ღუნაის ინტერნაციონალური კონფერენციის სხდომა ნოემბრის 16 შესდგა. შემდეგი სხდომა 1921 წლ. აპრ. 1 დანიშნა, როდესაც ხელშეკრულებას მეორედ განიხილავენ.

#### სერბია და მოკავშირენი.

სერბიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვენიში შემდეგი განცხადება გააკეთა: საფრანგეთსა და ინგლისს სურს იტალიასთან ჩვენი შეთანხმება. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენთვის აუცილებელია კეთილმეზობლური განწყობილების დაცვა იტალიასთან და ამიტომ გავაფრთხილებთ დათმობის გზაზე დაღვრილებს.

## პრესა

გაზ. „ერთობა“ თავის უკანასკნელ ნომერში ეხება ვრანგელის საბოლოოდ დამარცხებას და სხვათა შორის სწერს:

„ვრანგელის კონტრარეოლოგიის დასასრული ჩვენ დემოკრატიაში მხოლოდ სიხარულს და აღფრთოვანებას გამოიწვევს. მას ჯერ კიდევ არ დაიწყებია ის უდიდესი საფრთხე, რომელშიაც ჩავდო ვრანგელის წინა-მოადგილემ დენიკინმა ჩვენი ქვეყანა. მას ვერც დაავიწყდება საქართველოს დამოუკიდებლობის ის მთელი წლის პერიოდი, როდესაც დენიკინელები კარზე მოგვდგომოდნენ და საქართველოს აღგვას ლაშობდნენ, ვერ დაავიწყდება ის, რომ საქართველოს რესპუბლიკა მთელი წლის განმავლობაში სამხედრო სამხადისში და მოქმედებდა იყო, რომ დაეცვა თავისი საზღვრები სოჭიდან მომდგარი მტრისაგან. დღიდან თავისი დამოუკიდებელი არსებობისა საქართველოს არ უნახავს ერთი დღე, როდესაც მას საიდუმლო მტერი არ მოსდგომოდეს, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ მას მაინც არ ახსოვს ისეთი მოსისხლე, შეუპოვებელი და საშიშარი მტერი, როგორც იყო ის ძალა, რომელიც დღეს დამარცხდა ყირიმის ნახევარ კუნძულზე. ამიტომ ამ ამბების გავრცელებაზე ქართველი დემოკრატია ერთნაირ შეგებას იგრძნობს.“

გაზ. „კომუნისტის“ № 97-ში მოთავსებულია საუბარი.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენლობასთან საქართველოში არსებული ბეჭდითი ბიუროს თანამშრომელთან ოსმალეთის ნაციონალურ მთავრობის წარმომადგენელს საქართველოში კიაზიმ ბეის, რომელსაც შემდეგი განუცხადებია ოსმალეთის საქართველოსთან დამოკიდებულების შესახებ:

„ოსმალეთისა და საქართველოს ხალხს შორის არ არის ისტორიული შუღლი, მტრობა. წინააღმდეგ-მამამდიანებმა ბევრი კეთილი ახსოვთ საქართველოსგან და მას ამიტომ დიდი პატივით ეპყრობიან. მამამდიანებს, რომლებიც სომხთაგან დევნას გაექცნენ და საქართველოში შეაფერეს თავი, ძმური დახმარება იგემეს ქართველებისგან. ჩვენი განწყობილება საქართველოსთან უფრო გაუმჯობესდება, მით უმეტეს, რომ საქართველოს მთავრობა ფრთხალ პოლიტიკას აწარმოებს, არ ეგება ანტიტრას ანკესს და მომავალში მოსალოდნელია, რომ ყველა სადაო საკითხები მასთან ადვილად მოგვარდება.“

ოლონდაც, საქართველოს მთავრობასაც დადი სურვილი აქვს, ოსმალეთთან კეთილმეზობლურ განწყობილების განმტკიცებისა. ის ყოველთვის ერთა სოლიდარობაზე ლაპარაკობს, და თვითონ საქმიანაც ასრულებს მას; მაგრამ ამასვე მოითხოვს სხვისაგანაც.

## სომხეთი

სომხეთის მისიის ცნობით სომხეთის მთავრობის მინდობილებით ერევნიდან ტვილისს ჩამოვიდა სომხეთის პარლამენტის წევრი ა. ხატისიანი. მისა ჩამოსვლა დაკავშირებულია მიმდინარე მოკლევნიანთან. — სომხეთის მთავრობამ ოსმალეთის მიერ წარმოდგენილი ცნობები მიუღებლად სცნო და გადასწყვიტა ომის გვარძელება.

— მინისტრის ხაზუს ხხლამა. პარასკევს, ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ ს. ავალიანის თავმჯდომარეობით საბაჟო ტარიფის და საქონლის შემოტანის და გატანის საკითხის შესახებ მინისტრის საბჭოს სხდომა შესდგება.

— გუდაუთის შეამღვამლობა. გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეამდგომლობით მიმართა თამბაქოზე და ღვინოზე საფუთო გადასახადის გადილების შესახებ.

— ლაზარეთი. აფხაზეთის კომისარიატის ჯანმრთელობის განყოფილებაში გადასწყვიტა ყოფილი სამხედრო ლაზარეთი გადააკეთოს საოლქო საერობო საავადმყოფოთ 80 ლოგინით. აქედან 40 ლოგინი დანიშნული იქნება სამხედრო პირთათვის. ფიქრობენ მთავრობის წინაშე შეამდგომლობის აღძვრის იმ მიზნით, რომ მთავრობამ ზემოაღნიშნულ საავადმყოფოს საორგანიზაციო ხარჯებისათვის გადასდოს მილიონი მანეთი.

— ტარიფი. სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ჩექმის შეკერვისთვის შემდეგი ტარიფი დააწესა: 1) მაგარი ლანჩით—2500 მან. წყვილში; 2) რბილ ლანჩით—2200 მანეთი.

— პრეფიხი. სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთათვის პრეფიხი დაამტკიცა. პრეფიხი ჯილდო ნომბრის პირველიდან არის შემოღებული და შემდეგ ციფრებში გამოიხატება: მოანგარიშეს—1450 მან. თვეში. მანქანაზე გადასწერს და რეგისტრატორს 950 მან.

— ერობათა კავშირში. ერობათა კავშირში მოვიდა ცნობა აგარაულ რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. აირჩიეს თემები. არჩევნებში სოც. დემ. გაიმარჯვეს. სულ 16 თემი არის არჩეული. ზოგიერთ სოფლებში მუშათა მაგიდებმა დაიწყეს მოქმედება. დაიწყო მუშაობა მასრაში ტელეფონის ქსელის გასაყვანად. ნომბრის 23 სამხრო ერობის ყრილობა არის დანიშნული.

— პრეფიხი მინგრელების მამულის ჩამორთმევისა. იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას განსახილველად პროექტი დეკრეტისა ყოფილ თავადის ნიკოლოზ მინგრელის ქონების ჩამორთმევის შესახებ. თანახმად პროექტისა 1) ყოფილ თავადის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მინგრელის უძრავი და მოძრავი ქონება, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად; 2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი დამფუძნებელი კრების მიღებისა.

## გუგათა მავლისაგან.

მუშათა მაგიდა ქალაქ ტფილისის მუშათა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატის საყურადღებოთ შემდეგს აცხადებს:

შენიშნულია, რომ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა კერძო დაწესებულებების ადგილობრივი კომიტეტები დაუდევრათ ეკიდებიან სიების და სხვა საბუთების შედგენის საქმეს და ჯეროვან ყურადღებით არ ეპყრობიან. შევიქთ სიებში ისეთი მოსამსახურეები, რომელთაც თავის ჯამაგირის და თანამდებობის მიხედვით არა აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდის იფფინანსი სურსათ-სანოვავით; სიების შედგენის დროს ადგილობრივ არ არკვევენ მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრთა შეამდგენლობას და ეყრდნობიან მუშა-მოსამსახურის პირად განცხადებას, რომელიც არასაკვირველია, დაინტერესებულია მეტი რაციონის მიღებაში და შეცდომაში შეყვას კომიტეტთა აშლევნენ მოწოდებს, იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ნათესავი მუშისა და მსახურისა მის ხარჯზედ სცხოვრობს, მაშინ, როდესაც შემდეგ კვლევთ ძიება ამტკიცებს, რომ ნაჩვენები ნათესავი სცხოვრობს ან სხვის ხარჯზე, ან და თვით მსახურებს და თავს საკუთარი შრომით იჩინეს. არის ისეთი შემთხვევებიც, რომელიც სრულიად უარყოფს მუშა მოსამსახურეთა საქმიანობის უწინარესეთ არა ზასურველ და დასავაობ შემთხვევებით ჩვენ შეგვიძლიან დავასახლოთ ყორონოვის და აშხ. ელექტრონის სადგურის მუშები, რომელნიც პურს და სხვა სურსათ-სანოვავით თვით გამჭირავებელ ყორონოვსაც უნაწილებენ; შეუტანიათ ყორონოვი სიაშა და ჯამაგირის რაოდენობაც კი განუსაზღვრიათ, თვეში 1000 მან. და სხვა და სხვა ადგილობრივი კომიტეტების ასეთი დაუდევრობა საქმისადმი დიდ გუგავრობას იწვევს საქმეში; ერთი და იგივე პირი ორ ალაგას იღებს სურსათ-სანოვავის სხვა და სხვა დაწე-



# კანტორისაგან

გაზეთი

## „საქართველოს რესპუბლიკის“

კანტორა

### უკანასკნელად ახსიანს ნისია ხელის მოგზარ დაწესებულებათა სახელმწიფოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოეხმოს თუ აღნიშნულ დრომდე უფრო არ უამოიხანას.

— შექმნილ იქნა ცხენებისათვის სახამთროდ დიდძალი თივა.

— წერილი ერობის არჩევნების დამთავრება, გაიმარჯვა სოკ. დემ. პარტიამ, გამგეობის კონსტრუქციები დაიწყო, სულ 16 თემია შემოღობული.

— ტელეფონის გაყვანა ხელახლად დაიწყეს, მიტოვებული მუშაობა განახლდა.

— მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირის გამგეობამ სოხუმადან მუშათა მაგიდიდან სურსათი ჩამოიტანა. კერძო მოსამსახურეს 215 მან. ეძლევა.

— გაიხსნა მუშათა მაგიდას განყოფილება და ვალში მუშაობა სწავლობს.

— მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელია, სიღვივრ საარაკო ხასიათს ღებულობს გამოსავალი არ არის.

— მარხის მეთამბაქოეთა კავშირმა ამ დღეებში სოხუმადან დიდძალი მანუფაქტურა ჩამოიტანა. მანუფაქტურა შედარებით იაფია.

— 14 ნოემბერს მოხდებდა მასწავლებელთა სამაზრო ყრილობა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს მოსაგვარებლად.

— თელავის სამასწავლებლო კურსებზე ერობის გამგეობამ თავის ხარჯით ექსიშამენელი ვაგზავნა.

— მცხეთის საკრამიკო სკოლაში კი ერთი სტიპენდიანტი.

— ერობის გამგეობის მდივანი ბაგრატი უჩაიწვილი შეუდგა ერობის განყოფილებაში თა კანცელარების საქმის წარმოების რევიზიას. რევიზია ამ დღეებში დამთავრდება და წარედგინება მოხსენება ერობის საქმის წარმოებაზე გამგეობას.

— გამგეობამ გადასწყვიტა ქურნალი „ნაკადულის“ 70 ცალი გამოუწეროს მარხის სკოლებს.

ბაკრატი.

### ისტორიული ნაჩილაგი

#### რუსეთისათვის პირველად ჯარში გაწვევის ისტორია.

(გაგრძელება)

ქართველ მეომრებმა არქანის (არდახანი) აღებაში, დიდი გმირობა გამოჩინეს. ამ გარემოებამ რუსი გენერლები შურით ალაგეს; ყველგან ომებში, წინ რიგში ქართველს მეომრებს აყენებდნენ. ქართველ ჯარს სულაც არ უფრობილდებოდნენ.

აი ამისი მავალი იმიტი: ქობულეთიდან ან ხმელეთით რუსის ჯარს ბათუმისაკენ მიმოსვლა გაუჭირდა, ჩაქვში ჩვენი ჯარის მისვლა ხმელეთით ერთობ ძნელი იყო. ოსურგეთში მყოფმა რუსის გენერალმა ისურვა ზღვით ჩაქვში გაგზავნა ნაფეხი რომლებზედაც სულ ქართველი მეომრები იქნებოდა. ეს გარემოება ძირილ საშიში იყო ქართველს მხედრობისათვის ვინაიდან, ზღვაში ბათუმს ოსმალებს და ინგლისის სამხედრო გემები იდგა.

ამიტომ გრიგოლ გურიელმა რუსის გენერალს ამას ნებო არ მისცა, ამაზე მათ ჩხუბიც მოუვრდათ, გრიგოლ გურიელმა აღექვსანდრე მესამეს ტელეგრაფიც გაუგზავნა და სთხოვა, რომ შვეის ზღვიდან ოსმალებზედ იერიშით მისვლა შეჩერებულ იქნესო. მალე მრძანება მოვიდა, რომ შეჩერებით ზღვით იერიშის მიტანა, რაც ქართველს მხედრობისაგან იქნა შეჩერებული, ამ რიგით ზღვაში დაღუპვას გადაიტანა 50 ათასი ქართველი მხედრობა. ამას შემდეგ კი რუსის გენერლების გული და ნამეტრე ტფილისის სამხედრო შტაბის გენერლების სულ ადარ დაიწმინდა, შტაბის გენერლები მიეცნენ მის დრტყნას, რომ რაც შეიძლება და რაც უნდა ზარალი მოგვიხდეს, ქართველთაგან სამხედრო ჯარი უსათუოდ უნდა გაიყვანოთ. რაკი ეს ბოროტება მათ გადაწყვიტეს უცხა ამის სამხედროებისთვის იგინი სხვა და სხვა პროექტებსაც

აღგენდნენ, ამ პროექტებს იგინი ტფილისის შტაბს უდგენდნენ და მერე მთავარ-მართებელს, მაგრამ ეს პროექტები ყოველთვის დაწუნებული იყო და უარყოფილი. ამ უარისყოფას მიხეილ ნიკოლოზის ძეც თანაუგრძობდა, რადგანაც იგი რუსის კარგი პოლიტიკოსი იყო და ქართველ ერში მტრობას და ბოროტებას არ ზედავდა.

ადგილობრივ რუსებმა მიხეილს რაღაც ცილი და ქართველების მომხრეობა დასწამეს და ამიტომ 1881 წ. შემდეგ, მიხეილი გამოცვლილ იქნა საქართველოში, მის მაგიერ დანიშნულ იქნა ვორონცოვ-დაშკოვი, მონხუებული კაცი, გამოყრეხული, მისთან უნიჭო, ლოთი და სისტემა ბოროტი და შუარის მიძიებელი. ერთი სიტყვით ეს იყო ისეთივე ტიპი, როგორც ალექსანდრე მესამე, ისეთივე ლოთი, უხარო და ბოროტი.

ეს ველური მთავარ-მართებელი ტფილისის გენერლებმა დაირწმუნეს ქართველების ბოროტებისა და რუსების წინაშე დალატში. ის პეტერბურგში რუსეთის უმაღლეს მთავრობას ყოველთვის ქართველების ორგულებაზედ ელაპარაკებოდა და თვით იმპერატორი ალექსანდრე მესამეც კი დაარწმუნა, რომ ქართველი ხალხი საშიში ხალხია, და მათგან სალდათის გამოყვანა ჩვენთვის საჭირო უნდა იყოსო. იმპერატორიც დასთანხმდა—ქართველთაგან ჯარის გაყვანის საქმეც გადაწყდა. დაიწყეს სხვა და სხვა პროექტების შედგენა, თუ საქართველოში, ქართველთაგან ქართველი ჯარი რა წესით უნდა მოეკრიფათ. ბოლოს, ტფილისის შტაბის უფროს გენერალმა შეადგინა პროექტი, რომლის განსახლავდაც მან მოიწვია ქუთაისისა, ბათუმისა, ვლადიკავკასიისა, განჯისა, ერევნისა, ბაქოსა და ტემირხანშურის გუბერნატორები. ტემირხანშურის გუბერნატორად იყო ნიკოლოზ ქაჭკვაძე. ამას გარდა ამ კრებაზედ მოწვევულები იყვნენ ქართველი ისეთი გენერლები, როგორიც იყვნენ ლევან მელიქიშვილი, ივანე ამილახვარი, ჯომერტაძე და სხვა ხარისხიანი გენერლები.

ეს ამბავი მოხდა 1882 თუ 83 წ. ეს მე კარგათ აღარ მახსოვს, ხოლო თვით ამბავი კი ნამდვილია, რუსის გენერალმა თავის პროექტის კითხვა გაათავა ლამის პირველ საათზედ, გათავების შემდეგ, ქართველი გენერლებისაკენ მიმბრუნა პირი და უთხრა: დროა თქვენც იმსახურონ რუს სალდათებთან ერთად, რადგანაც თქვენ ჩვენი მონები ხართ.

ეს სიტყვა ქართველ გენერლებს დიდ თეწყენაა, ნიკოლოზ ქაჭკვაძემ კიდევაც გასცა ჯეროვანს პასუხი.

ს. კ.

(შემდეგი იქნება)

### ვილიტაიში

#### მაგნე ელემენტების დაპატიმრება.

ტფილისის მარხის მილიციის უფროსმა და აპატიმრა, როგორც მაგნე ელემენტები: 1) შირინ არუშანოვი. 2) ივანე საგრალოვი, 3) სარქის დანიელი, 4) სარქის კირაკოზოვი, 5) მიხეილ ვირაბოვი და 6) ალექსი გოგოშვილი. პირველ ოთხ პირთა შესახებ აღმართულია შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, ჩათა გაძევებულ იქნენ რესპუბლიკის საზღვრებიდან, უკანასკნელი კი თითო თვით არიან დაპატიმრებულნი.

#### გაძევებულების შეპყრობა.

იმვე მილიციის მოხელეთა მიერ შეპყრობილია და მოთავსებული საპყრობილეში; როგორც რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევებულნი და თავის ნებოთ დაბრუნებულნი უკანვე ჩვენს ტერიტორიაზე, სუბოთ ბადალოვი და ტიკორან დავრიშვილი.

#### ცილის მკვლელები.

იმვე მილიციის მოხელეთა მიერ შეპყრობილია ყარაიხის რაიონში ალი საფარილი.

ლი ყურბანოვი, რომელსაც ბრალი ედება და უკვე გულწრფელად გამოტყდა თავის ცილის ფირუხას მოკვლასა და გვამის მდ. მტკვარში გადაგდებაში.

#### ცნობილ ავაზაქების შეპყრობა.

იმვე მილიციის მოხელეთა მიერ შეპყრობილია და დაპატიმრებული, საპყრობილეში ცნობილი ავაზაქები: სიღნაღის მარხის სოფ. კაკაბეთის მცხ. შაქრო მარტიაშვილი, სოფ. პატარძელის მცხ. ალექსი მარტიაშვილი და სოფ. გიორგი წმინდის მცხ. კოსტა დიდმელაშვილი, რომლებსაც ბრალი ედებათ მთელ რიგ შეიარაღებულ თავდასხმასა და მკვლელობაში.

#### თავის ჩამოხრჩობა.

როგორც იმვე მილიციის უფროს აცნობებებენ სოფ. წყნეთში, ადგილობრივმა მცხ. ეფრემ ნურბაიანოვმა თავი ჩამოხრჩო თოკით. მიზეზი გამოუჩვენებია.

#### მამის მკვლელები.

სოფ. დრეიძეში, ადგილობრივმა მცხ. თევდორე კარპოვმა მოკლა თოფით თავისი მამა ილია კარპოვი. მკვლელები შეპყრობილია და მოთავსებული საპყრობილეში.

#### მკვლელობისათვის.

ტფილისის მარხის მილიციის მოხელეთა მიერ შეპყრობილია და მოთავსებულია საპყრობილეში სტეფანე საყვარიშვილი და სანდრო ალდგომელაშვილი, რომლებსაც ბრალი ედებათ ასურეთის რაიონში დარჩო ყელბერაშვილის მოკვლაში.

#### თავდასხმების შეპყრობა.

იმვე მილიციის მოხელეთა მიერ შეპყრობილია შაქრო მექვერიაშვილი, რომელსაც ბრალი ედება შეიარაღებულ თავდასხმაში და სოფ. პატარძელის მცხ. იაკობ გიუნაშვილის გაძარცვაში.

ნამდვილზე აწერილ ვამბეციტებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“  
ბ. ავალიანი.

### წესდება

#### დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა.

V ანგარიში.

77. ბანკის საოპერაციო წელიწადი იწყება პირველ იანვრიდან და თავდება ოცდათერთმეტ დეკემბერს.

შეთიშვნა. იუ ბანკი პირველ ივლის შემდეგ დაიხსნა, მაშინ დაარსების წელიწადი შემდეგ წელიწადს მიერიცხება.

§ 78. წლიური ანგარიში გამგეობისა და მისი შესახებ შენაშენები საბჭოთა და სარევიზო კომისიისა უნდა დატყვევდეს იქმნას, სულ ცოტა ორი კვირით ადრე, მის განსახილველად დანიშნულ საზოგადო კრების დღემდე და გამგეობაშივე უნდა ურიცხვოდეს აქციონერებს, რათა ვინც მოსურვებს წინაწინვე გაიციონოს მისი ვითარება; შემდეგ კრების ოქტომბრისათვის უნდა გაეგზავნოს, ოთხი ეგზემპლარი ფინანსთა მინისტრს.

§ 79. ბანკის ოპერაციების წლიური ანგარიშები იმეტიდება განცხადებულ ოფიციალურ ბეჭდვითა ორგანოში საქართველოს რესპუბლიკისა, იმვე ორგანოში ამას გარდა, ბანკი მოვალეა ბეჭდოს ბანკის ყოველთვიური ბალანსები ყოველ-თვითური ბალანსები ხუთ ეგზემპლარად უნდა ეგზავნებოდეს ფინანსთა მინისტრს (საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიაში).

§ 80. წლიურ ბალანსებში არა კეთილსამიერად ვალი უნდა აღნიშნულ იყოს დაახლოვებულ ციფრებით, ხოლო სახელმწიფო და სარგებლო ქალაქების ფასი არა მეტი იმაზე, როგორც ნაყიდია, და თუ საბირჟო ფასი ნაკლებია ნაყიდობაზე, მაშინ ლიბრულება ქალაქისა აღნიშნული უნდა იყოს საბირჟო კურსის მიხედვით.

#### VI განაწილება მოგებისა.

§ 81. ყოველი წლიური წმინდა მოგება განაწილება შემდეგი სახით:

- 1) 10% გაციონირება სითადარიგო თანხაში.
- 2) დანარჩენი მოგება, თუ ის არ აღემატება 10% ძირითადი თანხისა, განაწილება დივიდენდის სახით აქციონერთა შორის.
- 3) თუ ეს წმინდა მოგება აღემატება 10% მაშინ ზედმეტი განაწილება შემდეგი სახით:



